საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. №7, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის შენობის გამაგრების სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენის შეფასება მიმდებარე შენობებზე

თბილისი
2024 წ

Mob. 595 22 23 45

E-mail:gtg20023670\@gmail.com

-- -------- 2024 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. №7, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის შენობის გამაგრების სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენის შეფასება მიმდებარე შენობებზე

ექსპერტი: გ. ნოზაძე

თბილისი
2024 წ

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის გამაგრების პროექტი, რომლის მიხედვითაც ხდება შენობის საძირკვლის გამაგრების სამშენებლო სამუშაოები.

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის შენობა შედგება შვიდი სართულის, ტექნიკური სართულის და სარდაფისაგან. შენობა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ კონსტრუქციას, რკინაბეტონის სვეტები, კოჭები, გადახურვის ფილები. შენობის კედლები და ტიხრები აგურისაა. კედლების წყობა არმირებულია არმატურის ბადეებით. შენობას გააჩნია ხიმინჯოვანი საძირკვლები როსტვერკებით, მოგვიანებით ეტაპზე ჩატარებულია ფუძე-გრუნტის ინექცირება (2 მეტრის სიღრმეზე) ასევე როსტვერკები გამაგრებულია ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯებით). შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია, შენობის მზიდ კედლებში განვითარებული არაა გამჭოლი ბზარები. აღინიშნება შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდენა. შესაბამისად სარდაფის იატაკის დონეზე იგეგმება შენობისათვის ფილა საძირკვლის მოწყობა, რათა შენობიდან ფუძე გრუნტზე დატვირთვები თანაბრად გადანაწილდეს.

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის შენობა, რომლის საძირკვლის გამაგრების სამშენებლო სამუშაოების უნდა განხორციელდეს ესაზღვრება იმავე მისამართზე(საკადასტრო კოდი 01.10.15.007.166) განთავსებულ ხუთ შენობას: **1.** 1 სასწავლო კორპუსის ცენტრალურ ფლიგელს (საკადასტრო რუქაზე შენობა 1(8)), **2.** ოთხსართულიან შენობას (საკადასტრო რუქაზე შენობა 4(4)), **3.** ორსართულიან შენობას (საკადასტრო რუქაზე შენობა 5(2)), 4. ერთსართულიანი შენობა (საკადასტრო რუქაზე შენობა 13(1)), 5. ოთხსართულიანი შენობა (საკადასტრო რუქაზე შენობა 2(4)), 6. ერთსართულიანი შენობა (საკადასტრო კოდი 01.10.15.007.044), 7. სამსართულიანი შენობა (საკადასტრო კოდი 01.10.15.007.003).

შენობა-1 1(8) წარმოადგენს 1 სასწავლო კორპუსის ცენტრალურ ფლიგელს, რომელის გასამაგრებელ შენობას ესაზღვრება უშუალოდ და მათ შორის მოწყობილია სადეფორმაციო ნაკერი. აღნიშნული შენობა რვასართულიანია, სარდაფით, ანალოგიური კარკასული შენობაა ხიმინჯოვანი საძირკვლებით. მოცემული და გასამაგრებელი შენობის საძირკვლის როსტვერკები განთავსებულია ერთ ნიშნულზე სარდაფის იატაკის დონეზე. შენობას არ აღენიშნება დაზიანებები და საძირკვლების არათანაბარი ჯდენა. შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია.

შენობა-2 4(4) ოთხსართულიანია სარდაფით, რომელიც აშენებულია მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. შენობა მზიდკედლებიანია, რკინაბეტონის გადახურვის ფილებით, ლენტური მცირედ არმირებული ბეტონის ლენტური საძირკვლებით. შენობას არ აღენიშნება დაზიანებები და საძირკვლების არათანაბარი ჯდენა. შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია.

შენობა-3 5(2) წარმოადგენს სახიდე გადასასვლელს 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელიდან ოთხსართულიან სასწავლო კორპუსში (შენობა-2) მე-2 და მე-3 სართულებზე. შენობა კარკასულია, პირველ სართულზე კედლები არ არის შევსებული, მე-2 და მე-3 სართულზე კედლების მოშენებულია აგურით, რომელშიც მოწყობილია ვიტრაჟები. შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია.

შენობა-4 13(1) ერთსართულიანი შენობა, მცირე ჩაღრმავების ლენტური საძირკვლით, სამშენებლო ბლოკის კედლებით. შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია.

შენობა-5 2(4) ოთხსართულიანი შენობა სარდაფით, კარკასული შენობა კომბინირებული საძირკვლებით. შენობას არ აღენიშნება დაზიანებები და საძირკვლების არათანაბარი ჯდენა. შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია.

შენობა-6 (საკადასტრო კოდი 01.10.15.007.044) ერთსართულიანი შენობა მცირე ჩაღრმავების საძირკვლით სამშენებლო ბლოკის მზიდი კედლებით. შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია.

შენობა-7 (საკადასტრო კოდი 01.10.15.007.003) 1(3) სამსართულიანი შენობა, სარდაფით, აშენებულია მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. შენობა მზიდკედლებიანია, რკინაბეტონის გადახურვის ფილებით, ლენტური მცირედ არმირებული ბეტონის ლენტური საძირკვლებით. შენობას არ აღენიშნება დაზიანებები და საძირკვლების არათანაბარი ჯდენა. შენობის ტექნიკური მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია.

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის შენობაზე პროექტით გათვალისწინებული გამაგრების სამუშაოები - საძირკვლის ფილის მოწყობა არ იწვევს მიმდებარე შენობების კონსტრუქციული ელემენტების (კერძოდ საძირკვლების) გაშიშვლებას და წარმოებს პროექტით გათვალისწინებული წინასწარ დაგეგმილი თანმიმდევრობით, შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების წარმოება ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავე შენობების (შენობა1, 2, 3, 4, 5, 6, 7) მდგრადობაზე.

დასკვნა:

1. *ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის შენობის პროექტით გათვალისწინებული გამაგრების სამშენებლო სამუშაოები ზეგავლენას არ მოახდენს იგივე მისამართზე მდებარე შენობებზე* (საკადასტრო კოდი 01.10.15.007.166 შენობები: 1(8), 4(4), 5(2), 13(1), 2(4)) და *მომიჯნავედ მდებარე შენობების* (საკადასტრო კოდი 01.10.15.007.044 შენობა 1(1)), (საკადასტრო კოდი 01.10.15.007.003 შენობა 1(3)) *საერთო მდგრადობაზე (სულ შვიდი შენობა იხ. საკადასრტო ნახაზი და სიტუაციური გეგმა);*
2. *შენობის გამაგრების სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით, საავტორო ზედახედველობით.*

შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“-ს
დირექტორი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
ექსპერტი /გ. ნოზაძე/

დანართი

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.15.007.166**

განცხადების ნომერი: **882019936162**

მომზადების თარიღი: **13/11/2019**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **27802 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**





სიტუაციური გეგმა